სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის ეკონომიკური შედეგები

ლიკა ზუბაშვილი

გიორგი ნატმელაძე

ვასილ ბუაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტზე მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი:ირაკლი ღვალაძე

(სამართლის მაგისტრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ნატმელაძე

ვასილ ბუაძე

ლიკა ზუბაშვლი

.აბსტრაქტი

მუზეუმი- (მუზათა ტაძარი), როგორც წესი, საზოგადოების განვითარების სამსახურში მყოფი მუდმივი ინსტიტუტია და ღიაა ფართო საზოგადოებისთვის. მუზეუმი შესწავლის, განათლების მიზნით ან ვიზუალური სიამოვნებისთვის იძენს, ინახავს, იკვლევს და გამოჰფენს ადამიანთა შემოქმედებისა და მათი გარემოს აღმწერ ფაქტებზე არსებულ მნიშვლენოვან მასალას.

მე-20 საუკუნეში დაიწყო ქართველი ერის მდიდარი ისტორიული წარსულის წარმოჩენა, რაშიც დიდი როლი ახლად დაარსებულმა სხვადასხვა ტიპის მუზეუმებმა შეასრულეს. მუზეუმი დაარსდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

“საქართველოს მუზეუმის პასპორტიზაციის პროექტის“ მონაცემებით, ქვეყანაში ამჟამად სხვადასხვა პროფილისა (ისტორიული,ხელოვნების,მემორიალური და სხვა) და დაქვემდებარების (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო,ადგილობრივი თვითმართველობა და მუნიციპალიტეტები,აგრეთვე სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან არსებული მუზეუმები,კერძო მუზეუმები და სხვ.) 231 მუზეუმია. მათი 99% ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (25 მუზეუმი ფინანსდება უშუალოდ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, 9 მუზეუმი - თბილისის მერიის, ხოლო რეგიონებში არსებული მუზეუმები კი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან), თუმცა, სამწუხაროდ, გამოყოფილი სუბსიდია გათვლილია ძირითადად მხოლოდ მუზეუმის პერსონალის ხელფასებზე და კომუნალური ხარჯების ნაწილობრივ დასაფარავად.